სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 29 ნოემბერს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *„ვენის მწვანე ალტერნატივა“ ავსტრიის წინააღმდეგ – განაცხადი №13281/02*

განმცხადებელი არის პოლიტიკური პარტიის ვენის ფილიალი. 2001 წელს აპლიკანტი ბრალდებულად სცნეს ცილისმწამებლური პუბლიკაციის გამოქვეყნებაში. კერძოდ, პერიოდულ გამოცემაში “wien.direkt” – დაიბეჭდა ავსტრიის თავისუფლების პარტიის ვენის ფილიალის თავმჯდომარის – ჰ. კაბასის – ფოტო ნაცისტურ უნიფორმაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით, აპლიკანტი ორგანიზაცია ჩივის სასამართლოს მიერ მათ წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე დაკისრებული კომპენსაციის თაობაზე. ამის შემდეგ საქმის განხილვები განახლდა, თუმცა მოგვიანებით ჰ. კაბასის მიერ სარჩელის უკან გამოთხოვის გამო შეწყდა; მან უკან დააბრუნა მისთვის მიკუთვნებული კომპენსაცია, ისევე როგორც აპლიკანტის მიერ გაღებული ხარჯები.

სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმე ამოირიცხა განსახილველ საქმეთა სიიდან. აპლიკანტს მიაკუთვნა 5.806.20 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *ბარბარა ვიშნევსკა პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №9072/02*

აპლიკანტი ბარბარა ვიშნევსკა პოლონეთის მოქალაქეა და ცხოვრობს ელბლაგში (პოლონეთი). კონვენციის პირველი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ 2000 წელს გდანსკში განხორციელდა მისი კუთვნილი მიწის ექსპროპრიაცია აეროპორტის გზის მშენებლობის გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.

- *კოვაჩიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ – განაცხადი №50903/06*

აპლიკანტი პეტერ კოვაჩიკი სლოვაკეთის მოქალაქეა, დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს დოლნი კუბინში (სლოვაკეთი). 2003 წლის ივნისში ის დააპატიმრეს ყაჩაღობის ბრალდებით. განმცხადებელი ჩივის, რომ მისი დაპატიმრება იყო უკანონო და მან ვერ შეძლო შესაბამისი კომპენსაციის მიღება 2006 წლის მარტში, გათავისუფლების შემდეგ. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I და IV ნაწილი და მე-13 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი.

- *კილიჩი და ერენი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №43807/07*

აპლიკანტები მეჰმეთ ფატიჰ კილიჩი და კემალ ერენი თურქეთის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1986 და 1980 წლებში და ცხოვრობენ აგრიში (თურქეთი). აპლიკანტები ჩივიან, რომ 2007 წლის ივლისში აბდულა ოჯალანის (ქურთთა მშრომელთა პარტიის ლიდერი) მხარდამჭერი სლოგანების სკანდირების გამო, წაყენებული ბრალდების თანახმად 25-დღიანი პატიმრობა მიესაჯათ – რაც მოგვიანებით ფულადი ჯარმით შეიცვალა. ისინი ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. აპლიკანტების მხრიდან სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა არ დამდგარა.

<u>ანალოგი საქმეები</u>

- *ჩელიკი და აბატაი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №45490/05*
- *სტოიკა თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №19985/04*

წარმოდგენილ საქმეებში აპლიკანტები ჩივიან წინასწარი პატიმრობის გაჭიანურების გამო.

სასამართლომ ორივე საქმეში დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილის დარღვევა, ხოლო საქმეში *ჩელიკი და აბატაი თურქეთის წინააღმდეგ* – დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.